განკარგულება:**g-81. 81230093**
თარიღი:**09/01/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №4

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით ქ. ცაგერის და სოფელ ქვ. ცაგერის მოსახლეობის წყლის გადასახადის სუბსიდირების შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის ქ. ცაგერისა და სოფ. ქვ. ცაგერის მოსახლეობა 2015 წლიდან დაბალ გადახდის უნარიანობის გამო განთავისუფლებულია ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადახდისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მერია, ითვალისწინებს არსებულ გარემოებას და შესაბამისად ადგილობრივ ბიუჯეტში ამ მიმართულებაზე განსაზღვრულია 20 000 ლარი, რომელიც მოხმარდება ქ. ცაგერისა და სოფელ ქვ. ცაგერის მოსახლეობას ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე ყოველთვიურად 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადახდას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიღებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის წინადადება ქ. ცაგერისა და სოფელ ქვ. ცაგერის მოსახლეობის წყლის გადასახადის საფასურის სუბსიდირების შესახებ.

2. წყლის საფასურის გადახდა მოხდეს ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე სუბსიდირების სახით გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ცაგერის სერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი აბონენტთა სიის მიხედვით, ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გათვალისწინებით.

3. საფასურის სრულად გადახდა მოახდინოს მუნიციპალიტეტის მერიამ.

4. ეთხოვოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ცაგერის სერვის ცენტრს, აბონენტებზე გაცემული წყლის ქვითრებში ასახოს მთლიანად გადასახდელი თანხის ოდენობა და ამ განკარგულებით დადგენილი სუბსიდიის ოდენობა და საბოლოოდ ცალკეული აბონენტების მიერ გადასახდელი თანხის რაოდენობა.

5. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს გაერთიანებული წყალმომარაგების ცაგერის სერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მოახდინოს ანგარიშსწორება,

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის

ვადაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქუჩა №69).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი